# სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 12,006.81 მილიონ ლარს, რაც მთლიანი სახელმწიფო ვალის 78%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საკონტრაქტო შეწონილი ვადიანობა შეადგენს 21.4 წელს, საშუალო შეწონილი დარჩენილი ვადიანობა შეადგენს დაახლოებით 8.8 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 2.04%-ს.

### სახელმწიფო ვალის სტრუქტურა 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით




2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 67% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე. სახელმწიფო საგარეო ვალის 42% SDR-შია დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური რესურსების დიდი წილის გამო.

### საპროცენტო განაკვეთის ტიპი




### სავალუტო სტრუქტურა



# სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა - 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

| კრედიტორი | კრედიტის ვალუტა | ნაშთი ათასი აშშ დოლარი | ნაშთი ათასი ლარი | საპროცენტო განაკვეთი | საპროცენტო განაკვეთი **31.08.2017** | შეწონილი საპროცენტო განაკვეთი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ***სახელმწიფო საგარეო ვალი*** | | ***4,946,366*** | ***12,006,810*** | | | |
| მრავალმხრივი კრედიტორები | | **3,616,192** | **8,777,946** | | | |
| | | 897,382 | 2,178,304 | 0.75% | 0.75% | 0.136% |
| | | 269,895 | 655,143 | 2.00% | 2.00% | 0.109% |
| | | 9,676 | 23,488 | 2.15% | 2.15% | 0.004% |
| | EUR | 56,390 | 136,880 | | 0.70% | 0.008% |
| | | 189,294 | 459,491 | | 1.71% | 0.065% |
| | | 14,648 | 35,556 | | 1.87% | 0.006% |
| | | 50,106 | 121,627 | | 1.91% | 0.019% |
| | | 10,000 | 24,274 | | 2.05% | 0.004% |
| | | 134,307 | 326,018 | | 2.07% | 0.056% |
| | | 35,905 | 87,157 | | 2.08% | 0.015% |
| | | 126,751 | 307,676 | | 2.11% | 0.054% |
| | | 120,000 | 291,288 | | 2.35% | 0.057% |
| | | 23 | 55 | | 2.36% | 0.000% |
| | | 16,219 | 39,369 | | 2.37% | 0.008% |
| | | 10,385 | 25,209 | | 2.40% | 0.005% |
| | | 20,414 | 49,552 | 0.75% | 0.75% | 0.003% |
| | | 2,973 | 7,217 | 2.00% | 2.00% | 0.001% |
| | | 5,109 | 12,402 | (SDR LIBOR + IBRD Variable Spread)/2 | 0.95% | 0.001% |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF PRGF,NBG) | SDR | 1,979 | 4,803 | 0.00% | 0.00% | 0.000% |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF EFF,NBG) | SDR | 42,402 | 102,926 | SDR Rate of Charge | 1.61% | 0.014% |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (SBA ) | SDR | 113,071 | 274,469 | SDR Rate of Charge | 1.61% | 0.037% |
| | | 11,947 | 29,000 | 0.52% | 0.52% | 0.001% |
| | | 15,531 | 37,700 | 0.52% | 1.16% | 0.004% |
| ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD) | EUR | 134,816 | 327,251 | EURIBOR+ 1% | 0.79% | 0.022% |
| | | 66,258 | 160,835 | | 1.00% | 0.013% |
| | | 389,277 | 944,931 | | 1.50% | 0.118% |
| | | 54,315 | 131,844 | | 1.60% | 0.018% |
| | | 198,546 | 481,949 | | 2.00% | 0.080% |
| აზიის განვითარების ბანკი (ADB) | EUR | 23,764 | 57,685 | EURIBOR + Fixed Spread | -0.09% | 0.000% |
| | | 70,833 | 171,941 | | 1.66% | 0.024% |
| | | 49,243 | 119,531 | | 1.81% | 0.018% |
| | | 16,000 | 38,838 | | 1.87% | 0.006% |
| | USD | 50,000 | 121,370 | | 1.91% | 0.019% |
| | | 56,673 | 137,567 | | 2.01% | 0.023% |
| | | 23,087 | 56,043 | | 2.05% | 0.010% |
| | | 5,505 | 13,363 | | 2.06% | 0.002% |
| | | 9,978 | 24,220 | | 0.86% | 0.002% |
| | | 23,894 | 58,000 | | 0.87% | 0.004% |
| | | 11,947 | 29,000 | | 1.65% | 0.004% |
| | | 27,748 | 67,355 | | 1.69% | 0.009% |
| | | 23,894 | 58,000 | | 1.94% | 0.009% |
| | | 41,814 | 101,500 | EURIBOR+0.183% | 0.00% | 0.000% |
| | | 23,894 | 58,000 | EURIBOR+0.505% | 0.23% | 0.001% |
| | | 16,337 | 39,656 | EURIBOR + 0.75% | 2.50% | 0.008% |
| | | 86,181 | 209,197 | EURIBOR+0.75% | 0.51% | 0.009% |
| | | 7,400 | 17,964 | EURIBOR+0.81% | 0.56% | 0.001% |
| | | 46,799 | 113,600 | EURIBOR + 0.82% | 0.57% | 0.005% |
| | | 3,584 | 8,700 | EURIBOR + 0.858% | 0.58% | 0.000% |
| ორმხრივი კრედიტორები | | **828,030** | **2,009,960** | | | |

| კრედიტორი | კრედიტის ვალუტა | ნაშთი ათასი აშშ დოლარი | ნაშთი ათასი ლარი | საპროცენტო განაკვეთი | საპროცენტო განაკვეთი 31.08.2017 | შეწონილი საპროცენტო განაკვეთი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | EUR | 15,149 | 36,772 | 1.00% | 1.00% | 0.003% |
| აზერბაიჯანი | USD | 8,995 | 21,836 | 3.00% | 3.00% | 0.005% |
| თურქმენეთი | USD | 211 | 512 | 4.00% | 4.00% | 0.000% |
| თურქეთი | USD | 17,230 | 41,824 | 3.00% | 3.00% | 0.010% |
| ირანი | USD | 6,974 | 16,929 | 3.00% | 3.00% | 0.004% |
| რუსეთი | USD | 72,566 | 176,147 | 4.00% | 4.00% | 0.059% |
| სომხეთი | USD | 10,368 | 25,167 | 3.00% | 3.00% | 0.006% |
| უზბეკეთი | USD | 196 | 475 | 3.00% | 3.00% | 0.000% |
| უკრაინა | USD | 179 | 434 | 3.00% | 3.00% | 0.000% |
| ყაზახეთი | USD | 22,791 | 55,322 | 4.00% | 4.00% | 0.018% |
| ჩინეთი | CNY | 2,276 | 5,524 | 0.00% | 0.00% | 0.000% |
| | | 143,602 | 348,579 | 0.75% | 0.75% | 0.022% |
| | | 5,255 | 12,755 | 1.65% | 1.65% | 0.002% |
| | | 371 | 901 | 1.90% | 1.90% | 0.000% |
| | | 41,216 | 100,048 | 2.00% | 2.00% | 0.017% |
| | | 28,276 | 68,638 | 2.20% | 2.20% | 0.013% |
| | | 10,171 | 24,689 | 4.20% | 4.20% | 0.009% |
| | | 44,801 | 108,750 | 5.70% | 5.70% | 0.052% |
| | | 16,292 | 39,547 | 6.68% | 6.68% | 0.022% |
| | | 24,188 | 58,715 | 0.01% | 0.01% | 0.000% |
| | | 140,404 | 340,817 | 0.65% | 0.65% | 0.018% |
| | | 1,926 | 4,676 | 1.30% | 1.30% | 0.001% |
| | | 19,420 | 47,140 | 1.40% | 1.40% | 0.005% |
| | | 24,840 | 60,297 | 2.30% | 2.30% | 0.012% |
| კუვეიტი | KWD | 12,784 | 31,033 | 3.00% | 3.00% | 0.008% |
| | | 182 | 442 | 4.20% | 4.20% | 0.000% |
| | | 974 | 2,364 | 5.10% | 5.10% | 0.001% |
| | | 345 | 836 | 1.50% | 1.50% | 0.000% |
| | | 9,288 | 22,546 | 2.00% | 2.00% | 0.004% |
| | | 6,115 | 14,843 | 2.25% | 2.25% | 0.003% |
| | | 8,423 | 20,446 | 2.50% | 2.50% | 0.004% |
| | | 13,496 | 32,759 | 0.17% | 0.17% | 0.000% |
| | | 25,257 | 61,309 | 1.10% | 1.10% | 0.006% |
| | | 19,720 | 47,868 | 1.27% | 1.27% | 0.005% |
| | | 46,467 | 112,793 | 1.41% | 1.41% | 0.013% |
| | | 17,052 | 41,393 | EURIBOR + 1.8% | 1.80% | 0.006% |
| | | 10,231 | 24,834 | EURIBOR + 2.1% | 2.10% | 0.004% |
| **ფასიანი ქაღალდები** | | **500,000** | **1,213,700** | | | |
| ევროობლიგაცია 2021 | USD | 500,000 | 1,213,700 | 6.875% | 6.875% | 0.695% |
| **გარანტირებული კრედიტები** | | **2,144** | **5,204** | | | |
| გერმანია (KfW) | EUR | 2,144 | 5,204 | 0.75% | 0.75% | 0.000% |
| | | საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი | | | | **2.04%** |

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების ათვისებას 1,288,000.0 ათასი ლარის ოდენობით და ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების მიღებას 350,000.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკიდან (KfW) 146,000.0 ათასი ლარი, საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) 146,000.0 ათასი ლარი და ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარების პროგრამიდან 58,000.0 ათასი ლარი. დაგეგმილი თანხების ათვისების შემთხვევაში შენარჩუნებული იქნება სახელმწიფო საგარეო ვალის პარამეტრების მდგრადობა.

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 1,015,000 ათასი ლარი, საიდანაც 725,000 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 290,000 ათასი ლარი - პროცენტის თანხას:

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2018 წლისათვის (პროგნოზი)

ათასი ლარი

| დასახელება | ვალების დაფარვა | პროცენტი | სულ 2018 |
|---|---|---|---|
| | 725,000 | 290,000 | 1,015,000 |
| ავსტრია | - | 510 | 510 |
| კუვეიტი | 4,900 | 1,220 | 6,120 |
| იაპონია | 7,200 | 4,940 | 12,140 |
| გერმანია | 61,000 | 19,900 | 80,900 |
| აშშ | 6,000 | 1,250 | 7,250 |
| სომხეთი | 3,500 | 740 | 4,240 |
| აზერბაიჯანი | 2,600 | 650 | 3,250 |
| ირანი | 2,100 | 500 | 2,600 |
| ყაზახეთი | 10,400 | 6,300 | 16,700 |
| ნიდერლანდები | 600 | 140 | 740 |
| რუსეთი | 23,100 | 6,930 | 30,030 |
| თურქეთი | 5,000 | 1,350 | 6,350 |
| თურქმენეთი | 600 | 10,000 | 10,600 |
| უკრაინა | 100 | 20 | 120 |
| უზბეკეთი | 100 | 20 | 120 |
| საფრანგეთი | 49,500 | 4,700 | 54,200 |
| ჩინეთი | 1,200 | - | 1,200 |
| IDA | 204,400 | 31,360 | 235,760 |
| IBRD | 28,900 | 53,910 | 82,810 |
| IFAD | 3,000 | 1,050 | 4,050 |
| EBRD | 31,300 | 4,610 | 35,910 |
| EIB | 22,900 | 10,900 | 33,800 |
| ADB | 110,600 | 38,140 | 148,740 |
| IMF | 146,000 | 3,710 | 149,710 |
| EU | - | 170 | 170 |
| CEB | - | 330 | 330 |
| AIIB | - | 710 | 710 |
| ევრობონდები | - | 85,940 | 85,940 |

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს 6 თვიანი და 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებების და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისიას. 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა შეადგინა: 6 თვიანზე - 7.1%, 12 თვიანზე 7.2%, 2 წლიანზე - 7.5%, 5 წლიანზე - 8.0%, 10 წლიანზე - 9.4%.

სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 2 764.0 მილიონ ლარს (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში - 2 800.3 მლნ ლარი), აქედან 2 278.1 მილიონი ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, ხოლო 485.8 მილიონი ლარი - „სახელმწიფო ობლიგაციები სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში.

**შენიშვნა:** სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი არ მოიცავს ე.წ. „ისტორიულ ვალს". „ისტორიული ვალის“ მოცულობა საორიენტაციოა, ვინაიდან ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი დასაზუსტებელია

### სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში ვადის და ტიპის მიხედვით 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

*ათასი ლარი*

| | |
|---|---|
| **სულ** | **2,800,288** |
| **სახაზინო ფასიანი ქაღალდები** | **2,314,442** |
| 6 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები | 120,000 |
| 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები | 588,000 |
| 2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 639,400 |
| 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 734,522 |
| 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 232,520 |
| **სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები** | **485,846** |
| სახელმწიფო ობლიგაცია სებ-სთვის | 320,846 |
| სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის | 165,000 |

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საშინაო ვალდებულებების მოსალოდნელ კლებას 1 250,000 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას - 1,215,000 ათასი ლარის ოდენობით და სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) - 35,000 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ" 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" შეთანხმების შესაბამისად.

2018 წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვება განხორციელდება იმ მოცულობით, რომელიც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე არსებული განაკვეთების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ბიუჯეტში შემოსულ და დაფარულ ძირითად თანხებს შორის სხვაობას არაუმეტეს 400,000 ათასი ლარის ოდენობით.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით განსაზღვრული საგარეო და საშინაო ვალის პარამეტრები უზრუნველყოფენ სახელმწიფო ვალის მდგრადობის შენარჩუნებას საშუალო ვადიან პერიოდში

# სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2018 წლის ბოლოსთვის

| კრედიტორი | | საპროგნოზო ნაშთი 31.12.2018 ათას ლარებში |
|---|---|---|
| **სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო კრედიტების ზღვრული მოცულობა** | | **14,195,701** |
| **მრავალმხრივი კრედიტორებისაგან** | | **10,096,883** |
| 1 | მსოფლიო ბანკი (WB) | 5,206,757 |
| 2 | სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | 104,926 |
| 3 | საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) | 123,256 |
| 4 | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 314,224 |
| 5 | აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 2,911,347 |
| 6 | ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) | 1,267,434 |
| 7 | ევროკავშირი (EU) | 126,448 |
| 8 | ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB) | 14,491 |
| 9 | აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი AIIB | 28,000 |
| **ორმხრივი კრედიტორებისაგან** | | 2,431,410 |
| 1 | ავსტრია | 52,828 |
| 2 | აზერბაიჯანი | 19,390 |
| 3 | თურქმენეთი | 523 |
| 4 | თურქეთი | 37,248 |
| 5 | ირანი | 14,878 |
| 6 | რუსეთი | 152,256 |
| 7 | სომხეთი | 21,434 |
| 8 | უზბეკეთი | 348 |
| 9 | უკრაინა | 318 |
| 10 | ყაზახეთი | 49,433 |
| 11 | ჩინეთი | 4,762 |
| 12 | გერმანია | 870,572 |
| 13 | იაპონია | 634,583 |
| 14 | კუვეიტი | 64,559 |
| 15 | ნიდერლანდები | 2,150 |
| 16 | ამერიკა | 50,204 |
| 17 | საფრანგეთი | 455,924 |
| **სხვა საგარეო ვალდებულებები** | | **1,240,000** |
| 1 | ევრობონდები | 1,240,000 |
| **სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები** | | **4,816** |
| 1 | გერმანია | 4,816 |
| **საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)** | | **422,592** |
| **საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა** | | **3,927,700** |
| 1 | ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია | 280,846 |
| 2 | სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის | 152,000 |
| 3 | ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები | 762,426 |
| 4 | ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები | 2,060,103 |
| 5 | ისტორიული ვალი | 672,325 |
| **სულ სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა** | | **18,123,401** |